წელიწადი I-ლი

კვირა, 12 დეკემბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს თვიურად . . . .

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. სად. 3ს.

№ 79 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 79

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

ოთშაბათიდან 8 დეკემბრიდან დაიწყება

კინო-რომანის ჩვენება

**ნიღაბი** თეთრი კბილებით

16 ეპიზოდი—32 ნაწ.

მთავარ როლს ასრულებს

ცნობილი პირლ-უაიტი

7 სერია. ეპიზოდი—13 ოთახი № 307—14 ქალი ჩადრს ქვეშ

დასასრულ **საფაცილო.**

ანონსი: კვირას, 12 დეკემბერს—8 სერია ნიღაბი თეთრი კბილებით.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ

ამერიკული სისტემით, მყუდროდ და თბილათ.

შაბათიდან, 1920 წ. 11 დეკემბერს

მხატრული დრამა

მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით

**ნუ ინდომებ ცოლს**

**ახლობელისას შენისას**

დასასრული **მიუნხენი** სანახავი სურათი.

ანონსი ოთხშაბათ, 15 დეკემბერს ახალი სურათები იქნება.

შმაევსკის თეატრი

სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე

№ 14.

გვარდიის დღის აღსანიშნავად

კვირას 12 დეკემბერი

ტ. რამიშვილი

პირველად ახალი პიესა

**ფრთა-მოტეხილი ყორანი**

დრ. 3 მოქ.

რეჟისორი **ივ. ბარველი**

მონაწილეობენ: მსახიობნი და სცენის მოყვარეთა მთელი წრე.

ადგილების ფასი მომატებულია ◆ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 18 დეკემბერს მზადდება

მზადდება ვ. გუნიას ისტორიული პიესა „**ორი ბმირი.**“

## დღეს 12 დეკემბერს ბათუმის სახალხო გვარდია მართავს

## „გვარდიის დღეს“

შემდეგი პროგრამით:

1) დილის 11 საათზე აზიზიის მოედანზე გაიმართება ალლუმი.

2) ალლუმის შემდეგ მიტინგი მილოცვებით.

3) მიტინგის გათავების შემდეგ: გვარდია, ჯარი, კავშირები მოწაფეები და მოქალაქეები გაემართებიან მუსიკით და დროშებით მუშათა სასახლესთან, სადაც კავშირთა სეკრეტირიატის წარმომადგენელი წარმოსთქვამს სიტყვას რის შემდეგ ყველა ნაწილები დაიშლებიან და წავლენ თავ-თავის ბინებზე.

4) 12 დეკემბერს ყველა ადგილობრივი კინემატოგრაფები და

5) ცირკი იმუშავებენ გვარდიის სასარგებლოდ. სასადილოები „პავილიონი“ და „არტელი“

6) საკრებულო ღარბაზში გაიმართება კონცერტი ბელოუსოვისა და ბაროვსკის მონაწილეობით.

სახ. გვარდ. ბათომის საოლქო შტაბი.

## განცხადება

ფრონტის დამხმარე ბათომის კომიტეტმა ხელის მოსაწერი ფურცლები და კვიტანციის წიგნაკები № 1 და 2 მისცა ექვთ. ს. ბერძენიშვილს, ახ. დ. დიმიტრიადის, ექიმ სიტმალიდის და ვლ. რუხაძეს და მიუჩინა არე-მარე ქუთაისის, თბილისის, ბერძენთა და პეტერბურგის ქუჩების შუა, აგრეთვე № 5 და 6 ბ.ბ. ვოლფენზონს, მატიევიჩს, ფილოიანს, ჩხატარაიშვილს და მიუჩინა არე-მარე: ნაპირის სამი ქუჩა, ქარხნები და შესახვევები ქუთაისის ქუჩამდე.

## განცხადება

ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება, კერძო სახელოსნო, აფთიაქი და სამკურნალო ვალდებულია სამი დღის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა შემოიტანონ სასურსათო განყოფილებაში სწორი ცნობები თუ რამდენი ბენზინი ესაჭიროება მათ ერთი თვის განმავლობაში და რა მიზნისათვის.

## განცხადება

იმ პირთ, რომელთაც მიღებული აქვთ თავისუფლების მოწმობები, ბათომის სამხედრო მიმღებ კომისიიდან აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ ასეთები ციხე-სიმაგრის შტაბში სამხედრო აღრიცხვის უფროსთან.

მოწმობები, რომელიც არ იქნება გამოცვლილი ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამის განცხადებისა ძალას ჰკარგავს.

ბათომის დროებით სამხედრო აღრიცხვის
უფროსი მაიორი ალადაშ.

## განცხადება

ბათომის მუშათა მაგიდასთან დაარსდა საქონლის შემყიდველი ბიურო.

ბიუროს შემადგენლობა—მაგიდის გამგე და სამი პირი, წარმოგზავნილი ბათუმის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ.

ბიუროს მიზანია შეყიდვა სურსათ სანოვაგის და მისი რაციონალურათ განაწილება მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ვისაც რაიმე საქონლის მოწოდება შეუძლია, ბიურო სთხოვს წინადადებები შემოტანილი იქნას მაგიდაში დილის 9-დენ ნაშუადღევის 3-მ საათამდე.

3—1

საქონლის შემყიდველი ბიურო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს გვარდიის დღეა მოქალაქენო.

## მშრომელ საქართველოს მარჯვენს გვარდიას დღიდან დემოკრატიულ თავისუფლების იარაღით დასაცავად გამოსვლისა სამი წელი შესრულდა.

# სალამი გვარდიას.

# გაუმარჯოს გვარდიას.

ნახმანიოსეგისძე შმოისი აუწყებს კლიენტებს, რომ მან დაიბარა უკვე ლანდობის საბუთები გ." და მ." და მ რ. როხლინისა. 3—1

## განსაკუთრებულ მმართველობაში.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ჯარების სარდალს აუწყა, რომ მანამდე სანამ ჯარებს თავის ამბარებში არ აქვთ გაწყობილი ჯარის კაცები ამბარში სისტემატიურად კერძო ამბრებში სასყიდლის მიცემით.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა განმეორებით წინადადება მისცა საოლქო ინჟინერს გზა ტკეცილების შეკეთების და გაყვანის შესახებ.

— განსაკუთრებული რწმუნებული აცხადებს რომ ყველა მოიჯარადრეებმა (უძრავ ქონებათა) დაუყონებლივ უნდა გადიხადონ საიჯარო გადასახად 1920 წ. ასეთი გადასახადი შეტანილ უნდა იქმნას დუნდუკო-კორსაკოვის ქუჩაზე მიწადმოქმედების სამინისტროს აქაურ დეპარტამენტში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარადრეებს საიჯარო უძრავი ქონება ჩამოერთმევათ.

— განსაკუთრებული რწმუნებული ბ ნი გრიგოლ გიორგაძე რომელიც დეკემბრის 10-ს დაბრუნდა თბილისიდან ამავე დღეს შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

— ჯარების სარდალი და ციხე სიმაგრეთა კომენდანტი გენერალი მდივანი თავის პირდაპირ მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

## ბათომი, 12 დეკემბერი.

12 დეკემბერი სახალხო გვარდიის ტრადიციული დღეა.

1917 წ. ქაოტიურ ბობოქრობაში ძველის გახრწნის ნანგრევებზე, როცა შიგნით სიკვდილისკენ მიმავალ ჯგუფებს მახვილი აღემართათ, ხალხის თავისუფლების დასაჭრელად ხოლო გარე მომხდური მტერი მესამასე ვერსტზე სდგამდა ჩვენთვის დასაშენ ზარბაზნებს აი, ამ საბედისწერო ჟამს ქართველ ხალხის სინამდვილეში აღმოცენდა და ქვეყნის საიმედო ძალად წარმოდგა სახალხო გვარდია.

გვარდია საქართველოს სახეა, მტრებთან ბრძოლაში თავს, რომ დებს და მშვიდობიანობის მომენტში კეთილსინდისიერ შრომის ოფლით, რომ იწურება.. გვარდიის ბელადნი ქართველი ერის სასიქადულო შვილნი არიან.

დღეს საქართველოს დემოკრატია გენერალურად დაათვალიერებს თავის თავს და მარჯვენა ხელს, ხელს გარეშე და შინაურ საფრთხის დასაპირდაპირებლად შეარაღებულს.

აქ ბათომშიც გამოიყვანს სადღესასწაულოდ და საუქმად ნესტიან სარდაფებში ნაზარდ გვარდიას.

საყვარელ ბათომში ქართველ დემოკრატიის ბრძოლით ანთების კერაზე სახალხო გვარდია დღეს რკინის გუნდებად გაივლ გამოივლის..

გვარდია ქართველ ხალხში ბუნებრივად შობილი და გაზრდილი ძალაა, მის ცხოვრებას ახასიათებს თავისებური დისციპლინა, ქვეყნისადმი თვით ერთგულება, და თვითქმედიანობა. ვინატროთ გვარდიას მეტი დაწინაურება, ყველა ნაკლისგან განწმენდა და მის ჭაღარა თუ ჭაბუკ ხელმძღვანელთ კი მარად მხნეობა, მათ დაიმშვენეს ქართული სიცოცხლე, შეაყვარეს თავი მთელ ხალხს და მათი სახეები ერის ისტორიაში დიდ მოამაგეებათ ჩაი-ხატებიან...

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას, სალამი ქართველ დემოკრატიის და მშრომელ ხალხის თვით ძლიერებას.

ქართველ დემოკრატიის გულის ძგერა ბათომში კოცნის და ვარდებს უფენს ფეხ ქვეშ საპარადოთ გამოსულ დამოუკიდებლობის და ხალხის უფლების ერთგულ დარაჯებს...

## სალამი! სახალხო გვარდიას

,, ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?

ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?

ვინ მოგვითხრას მათი საქმე უთვალავი, საგმირონი...

ასე ამკობდა პოეტი საქართველოს თავისუფლების სამსხვერპლოზე დაფერფლილ გმირებს, რომელთაც ღვაწლს ისტორია, შთამოებაარ ივიწყებს და არც დაივიწყებს. მოწიწებით მოიგონებს, მუხლს მოიდრეკს მათი ხსოვნის წინაშე. მანამ არსებობს ქართველი ერი არ გაჰქრება მათი სახელი...

საქართველოს სვინქსიი მუხთალ ბედის უკულმა ტრიალით რომ მიეფარება ხოლმე საერთაშორისო ჰორიზონტს.. მიიჩქმალება.. მიყუჩდება, მაგრამ კვლავ გაშლის ფრთებს და მძლავრად და ლაღად გაინავარდებს თავისუფლების კაბადონზე.

ქართველი ერის თავისებურ გმირული სულით, მტკიცე ნებისყოფით და ღრმა პატრიოტზმით აიხსნება ეს-

თორემ რა არის—ისეთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი ერები, როგორიც იყვნენ ბაბილონელები, ფინიკელები, ასურელები.. გაჰქრენ, ხოლო ერთი მუჭა, პაწაწკინტელა ქართველობა სიცოცხლობს, ჰქმნის ახალ ცხოვრებას, კულტურას. ბრწყინვალე და მაღალ იდეალებს, მახვილგონივრულად მესაჭეობს ხალხს და ნაირ-ნაირი განძი შეაქვს საკაცობრიო სალაროში.

სჭედს თავის პატარა, მაგრამ მდევ და მძლავრ ხელით თავის კეკლუც სამშობლოს საუკეთესო მომავალს..

რამდენმა ნიაღვარმა, გრიგალმა და შავმა ღრუბლებმა გადაიარა ქართველი ერის თავზე მეცხრამეტე და მეოცე ს. ს. სივრცეზე. მწარე განცდის წუთები იყო და საბედისწერო უკანასკნელი სამი წელი!

მშიერ მგლებივით გარს შემოგხვევ და ხროვა უამრავ მტრებისა და სინორჩეშივე უნდოდათ ჩაეკლათ ჩვენი ჩვილი, ახლად ფეხადგმული თავისუფლება.. და დამოუკიდებლობა.

ცრემლში დადნება მომავალი ისტორიკოსი, შეძრწუნდება.. შეშფოთდება მომავალი თაობა ბათომის, დუშეთის, ზუგდიდის, საჩხერის, თფილისის, სანაინის და რომელი ერთი ვსთქვა, რომელი ერთი ჩამოვთვალო ამ ამბებს რომ წაიკითხავს. მაგრამ რამდენად ძლიერი იქნება აღშფოთება, გულისწყრომა და კრულვა, იმდენად ღრმა იქნება აღფრთოვანება და აღტაცება იმ გმირებისადმი, რომელთაც თავიანთი მკერდით დაიცავს ქართველი ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ეს გმირია ჩვენი სახალხო გვარდია

მათ ღვაწლს გულის ფიცარზე ოქროს ასოებით აღბეჭდავს თანამედროვე და მომავალი ქართველი. სისრაებით, მოწიწებით და გულთბილად მოუთხრობს ქართველი დედა თავის პირმშოს მათ საგმირო საქმეებს და მწყობრ ტკბილ ჰანგებით შეახავებს ,,ნანინას'' მათ შესამკობად... და ჩვენი ისტორიის საუკეთესო ფურცლებს დაუთმობს მათ.

სამი წელია გვარდია ფარვანასავით გარს ევლება ქართველი დემოკრატიის თავისუფლებას. აი ეხლაც, როცა სისხლიანი ღრუბლები დასტრიალებს ჩვენს ქვეყანას ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი გაყინულ სანგრეებში სხედან და ელიან, მტერს შეინახონ თავხედობა, თუ გაბედა და თავის მურტალი ხელი შეახო ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას.

მათკენაა ჩვენი—ქართველი დემოკრატიის სიმპატია და სიყვარული.

ჩვენ კარგად გვესმის მთელი სირთულე მომენტისა, მაგრამ ისიც კარგად გვესმის რომ ,,სამშობლოს არვის წავირთმევთ და ნურც ჩვენ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით თვით მკვდარსაც კი გაეცინება''.

ჩვენ გვინდა ვიყოთ თავისუფალი გვინდა ვიბრძოლოთ ადამიანურ მაღალ იდეალებისათვის და ღირსეული ადგილი დავიჭიროთ იმ საკაცობრიო ოჯახში, რომელიც ჩვენს იდეალს და მისწრაფების მიზანს შეადგენს.

და მივაღწევთ მიზანს. ჩვენს ეს გვ ერა—გვწამს. ამის თავდებია ჩვენი სახელოვანი გვარდია. გვარდია და ჯარი. ჯარი და გვარდია.

აი ჩვენი სასოება და იმედი.

და ჩვენც მათთან ვიქნებით სამუდამოდ.

მაშ გაუმარჯოს სახალხო გვარდიას! მზიური სალამი მას!

გრ. გორ-ძე.

## შინნით სიმაგრისთვის.

ბოლშევიკები შიშვლდებიან. კომუნისტი აგიტატორები რესპუბლიკის ცხოვრების ყოველ სიმს ავლებენ სისხლიან ხელს. სახელმწიფო თუ სხვა-მუშა მოსამსახურე ბში, რკინის გზაზე და ჯარში გადუწყვეტიათ ბოლშევიკებს ვაიღბლო ისრის გადასროლა, ბოლშევიკი შვილდოსნები, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ სწამთ, ,,კომუნისტებს' ფურცლებზე ალაპარაკებენ არ არსებულ ჯარის კაცს.

საქართველოს მთავრობას ჯარში წაუყვანია მშრომელი ხალხი და მათ ცოლშვილს შიმშილით ჰკლავს წინად, რომ იღებდა იმ ჯამაგირის ნახევრის მეტს არ აძლევს, ასეთი მტირალი ჯარის კაცი საქართველომ არ იცის.

ჩვენ ვიცით რომ მობილიზაცია უმაღლეს ენტუზიაზმით შეხვდა ხალხი და მობილიზაცია ბრწყინვალედ დასრულდა.

მაგრამ მოუმინოთ ,,კომუნისტის'' მომჩივანსაც

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ჯარში გაწვეულებს უნახავ სამსახურს, აძლევს ჯამაგირს ნახევარს ცოლშვილს და სხვა კიდევ მრავალ დახმარებასაც განა ,,პენსნეებიანი'' ბოლშევიკები ვერ ხედავენ რომ მთელი საქართველო ლდ ფრონტის და ჯარის კაცთა ოჯახების დასახმარებლად არის აღძრული ერთი ბრძანონ თვით ბოლშევიკებმა რამდენს აძლევენ წითელ არმიელთ ოჯახს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ არმიელის ბედში ღმერთმა ნუ ჰქნას ქართველი კაცი. წითელი არმიელი სისხლის წყურვილით არის ალტყინებული და მას თავი ვერ წარმოუდგენია ხოცვა ჟლეტის გარეშე, რაც შეეხება ჩვენს მობილიზაციას ის დროებითი ქვეყნის თავდაცვის აუცილებლობის გამოწვეული, ხვალ ხვალ ყველა მშრომელი და სამსახურის კაცი თავის სახლკარს და სამსახურს დაუბრუნდება. საქართველოს მთავრობა ერთ საათსაც არ აჩერებს ტყვილა უბრალოდ ჯარს თოფ ქვეშ, ეს მშვენივრად უწყიან ბოლშევიკებმა მაგრამ რას ვიქმთ ვინაიდან ,,ავსა კაცსა ავი საქმე ურჩევნია სულსა გულსა!.. ჩვენ ვალა დაგვრჩენია, ცხადია უნდა ვებრძოლოთ ასეთ შავ მტრებს. ჩვენი ცხოვრების ყოველ თუნდ უმნიშვნელო დარგშიც დღეს ჩვენ გვჭირია სინათლე და ფრთხილობა. მთავრობამ განსაკუთრებულის სიმკაცრით უნდა სდევნოს ეს უდროოდ ამ უნტრუშებული მტერთა ჯგუფები.

საქართველო უნდა გაიწმინდოს მათგან.

უბრალოდ მიზან შეწონილად უნდა ჩაითვალოს ბათომში გამოცემული სავალდებულო დადგენილება ყველა უსაქმურთა აქედან გაძევების შესახებ. ამ დადგენილების სისწორით ცხოვრებაში განამდვილება ბევრ მავნე პირს მოგვაშორებს, მაგრამ გარდა ამისა ცალკე უნდა იქმნას მიღებული საგანგებო ზომები მტერთა მოქმედების წინააღმდეგ. ყველაზე საშიში სახელმწიფოსთვის ის არის, რომ მტერი სახლში რომ შემოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები ძვირფასი დოკუმენტია იმისა, თუ რა საოცარი მახინაციებით გვიპირებენ ბოლშევიკების ფეხზე ,,მოვაჭრენი'' და მოგზაური სპეკულიანტ-კომუნისტები. შიგნით ნერვიულ ყოფის გამოწვევას, არაფითარი დაზოგვა და შებრალება ამ მოღალატეებს, და ეს ვერც უნდა მიითხოვოს კომუნისტურმა მთავრობამ ვინაიდან მის სოციალისტურ ცის ქვეშ მხოლოდ არა კომუნისტებისთვის სულ მოუთქმელად ხვრეტენ მეცნიერების მცხოვან წარმომადგენლებს პროფესორებს, ინჟენრებს, პოეტებს, მუსიკოსებს ხოლო ისე ხალხზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

შინაურ ფრონტის მთლიანობა უმთავრესი თავდებაა გარეშე ფრონტზე გამარჯვებისა სასტიკი ყურადღება რესპუბლიკის საზღვრებში ამუშავებულ მტრებს...

მტრებმა გამოიღვიძეს ჩვენს სახელმწიფოს ძირის გამოსათხრელად აამოძრავეს შავი ხელები, ჩვენ პასიური უნდა გავხადოთ ისინი და ავკვეთოთ მათი ვერაგი საქმიანობა. შიგნითი საშავრე მეტად გვჭირია.

ირაკლი

* *
*

# გვარდიელებს.



სიყვარულით ხალხში დიჰფრენთ,
ექიშპებით მებრძოლ არწივს.
საქართველოს ნათელს აფენთ,
როცა თავზე სისხლი აწვიმს.

ბრძოლის ჰიმნი თუ რომ დაჰკრეს,
საშლვრებისკენ გაიწევით.
საქართველო, რომ არ გაჰქრეს
ცოცხლად ცეცხლში დაიწვებით.

ბრძოლის დროს ხართ, უფრო ჩქარი
უფრო ჩქარი ვიდრე ფიქრი
ვერ გეწევათ ჩქარი ქარი
ქარს უკან სტოვთ და წინ მიჰქრით

ქართველებო! ცეცხლის ძმებო!
როს მიაღწევთ წითელ მიზანს,
ძმობის ღმერთი მებრძოლებო!
დაგიჰკოცნის თვალებს მზიანს.

ერი გმირებს გაძლიერებს
ფეხ ქვეშ გიფენს ვარდს და შროშანს.
ვაშა... ვაშა... გვარდიელებს
ეროვნულს და წითელ დროშას.

დავით კოკალი.

# პ რ ე ს ა.

## პასუხს გაურბიან!

ქართულ ,,კომუნისტს'' უიმედო საქმე უკისრია. გაზეთს სურს თავი ცაიძინოს იმ პასუხისმგებლობიდან, რომელიც დაატყდა მას, როგორც შეთქმულის და უცხოეთის ფულებით მოყიდულ აგენტების დამცველს. აი საბრალდებულო პუნქტი, რომელზედაც ჩვენმა ბოლშევიკებმა პასუხი უნდა აგონ!

შეიძლება გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტები მათი აგენტობისა და მოღალატური მუშაობის შესახებ ზღაპარია?

თქვან ეს და დაამტკიცონ! ამის მაგიერ ჯიჯგნიან ყოველ დღე ბ. ბარონის წერილებს და მკითხველებსატყუებენ, თითქო ბოლშევიკები ამ ,,ხილუბისათვის'' იდევნებოდენ ჩვენში.

აი რას სწერს ,,კომუნისტი'':

,,ამ მიზნით მათ დღეს ატეხილი აქვთ არ ერთხელ ნაცადი გამაყრუებელი განგაში ჩვენი მოღალატეობისა, გამცემლობისა და სხვ. შესახებ. ამათ ემატება მასიური დაჭერა ჩვენი ამხანაგებისა, პასუხისმგებელი მუშაკებისა, რამაც საბოლოოთ უნდა დაიხსნას ისინი მათთვის უსიამოვნო მამხილებელთაგან.''

არა, ბ. კომუნისტებო, თქვენ გდევნიან იმისთვის, რომ ჩემოდნებით უცხოეთიდან ფულები შემოგაქვთ, აქ ნაძირალებს ყიდულობთ, შეთქმულობას აწყობთ, ტყვიის მფრქვეველებითა და თოფებით ვარჯიშობთ, რომ მოხერხებულ დროს ქართველ დემოკრატიის ზურგში მახვილი ჩასცეთ, როგორც ეს თქვენ გჩვევიათ. აი რისთვის გიჭერენ თქვენ! ნუ მოგაქვთ თავი უმანკო კრავებათ! მხილებისათვის რომ ვინმე დაეჭირათ, პირველ ყოვლისა ბ. ბარონს დაიჭერდნენ.

სხანს მხილებაში არ არის საქმე.

და თქვენი მხილება, არც არავის აშინებს. სხვისი მხილება თქვენ არ შეგშვენით!

ვინ იცავს დაშნაკელებს?

რუსული ,,კომუნისტი'' ჩვენ გვაწერს, თითქო დაშნაკელების დამცველათ გამოვდიოდეთ.

,,სანამ დაშნაკელები ანტანტას ყურმოჭრილი მონები იყვენ და ვაჭრობდენ სომეხთა ხალხის სიცოცხლით, სანამ ეს ასე იყო—ისინი, დაშნაკელები. მენშევიკებისაგან ღებულობდენ სრულ თანაგრძნობას და დახმარებას''.

ნამდვილად ვინ არ იცის, რომ მენშევიკები მუდამ გმობდენ დაშნაკელების პოლიტიკას და უთითებდენ მათ დაუშვებელ შეცდომებზე?

დაშნაკელების წყალობით გაჩაღდა სომხეთ-საქართველოს შორის ომი, დაშნაკელები მუდამ სხვის ლაქიებათ გამოდიოდენ, უცხო ძალას ეყრდნობოდენ და მეზობლებთან შეთანხმებას გაურბოდენ.

ეს ჩვენ აღვნიშნავს წინეთ და აღვნიშნეთ ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგაც

და რა უფლებით გვაწერს ,,კომუნისტი'' დაშნაკელების დამცველობას?

შეძლება სომხეთის დაცვა მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივობისათვის გამოქომაგება მიაჩნია მას დაშნაკელების დაცვათ?

თუ ეს ასეა, ჩვენ მართლაც გვგონია, რომ საბჭოთა მთავრობა სომხეთში არის მისი თავისუფლების დასამარება. სხვა რომ არა იყოს რა, აზერბეიჯანის მაგალითი მჭერმეტყველურით ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ სცემენ პატივს ბოლშევიკები წვრილ ერთა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. რაც უნდა სწეროს ,,კომუნისტმა'', ფაქტი ფაქტათ რჩება: სადაც საბჭოთა ძალები შევიდა, იქ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოისპო.

რაც შეეხება დაშნაკელების დაცვას და მათთან მეგობრობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკები თავისი მისწრაფებით და ბრძოლის მეთოდებით არც ისე შორს არიან ამ ხალხისაგან, რომ მათ ვერ შეუთანხმდენ. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ. დაშნაკელები უკვე ქათინაურებით ამკობენ საბჭოთა სისტემას და ბოლშევიკების ზნე-ჩვეულება რომ ვიცით, გასაკვირი არაფერი იქნება, თუ ხვალ ისინი მათთან ხელი ხელ ჩაკიდებული გამოვლენ: თუ ,,სოციალისტური'' სინიდისი ნებას აძლევთ მათ ენვერ-ფაშასა და ქემალ-ფაშასთან ითანამშრომლონ და ,,ამხანაგი ენვერი'' მესამე ინტერნაციონალს გვერდში ამოუსვან დაშნაკელებმა რაღა დაშაავეს?

(,,ე—ბა''.)

# ქრონიკა.

**დღეს გვარდიის დღეა ბათომის გვარდია მართავს ალლუმს და საერთოდ დღეობას იდღესასწაულებს ფარზეთ.**

გუშინ დაიწყეს ჩაძირულ გემის ,,სვეტის'' ზღვიდან ამოღება.

ქალაქის სასურსათო განყოფილებამ წინადადება მისცა ბათომში არსებულ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს ორი კვირის განმავლობაში წარუდგინონ მას ცნობა თუ რამდენი ბენზინია მათთვის საჭირო და რა მიზნისთვის.

გზათა სამინისტრო დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მთავრობამ შეიმუშავა წესი საქართველოს შიგნით სასურსათო მომარაგების შესახებ.

10 დეკემბერს შრომის ბირჟაზე გამოცხადდა 32 კაცი ამათგან 14 ქალი და 20 კაცი. ხელ ახლად ჩაეწერა 10 ამათგან 4 ქალი და 6 კაცი. 11 დეკემბერს თავისუფალი ადგილი არ ყოფილა.

სტამბოლში ყოველ დღე მატულობს ქართულ ბონის მთხოვნელთა რიცხვი.

სტამბოლის კომერსანტების აზრით ამ ჟამად—საალებ მიცემა ურთიერთობა მხოლოდ საქართველოსთან არის შესაძლებელი.

ხმა დადის საბჭოთა რუსეთის ბათომელი საკონსულოს მდივანი (ეროვნობით სომეხი) ინიშნება საბჭოთა სომხეთის რევკომის სრულ უფლებიან წარმომადგენლათ საქართველოში.

# უკანასკნელი საათი.

შავი ზღვის რადიოს მიერ ლონდონიდან მიღებულ ცნობით ბერლინში მომხდარა მონარქიული გადატრიალება, რომელსაც მეთაურობს კრონ პრინცი და მისი მომხრე ჯარი.

# სტამბოლის ცნობები.

— ქემალის წრეებში ხმა დადის, რომ საეჭვოა ამ ჟამად ენვერ ფაშას რაიმე დიდი პოსტი მისცენ ბოლშევიკებმა რეალურადაც.

— ტრაპიზონში ხმაა გავრცელებული რომ ამ მოკლე დროში ანგორაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა (?) დელეგაციებს ელიანო.

— ტრაპიზონში თითქმის არაფერი არ იციან ქემალ ფაშის სტამბოლის წინააღმდეგ შეტევის შესახებ.

— სტამბოლში დაწესდა მეორე გარნიზონის უფროსის თანამდებობა, ეს მეორე თურქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისური ჟურნალი „ახლო აღმოსავლეთში“ საქართველოს შესახებ.

ინგლისურ ჟურნალის „ახლო აღმოსავლეთი“, უკანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი „ახლო აღმოსავლეთი“ სადაც უმთავრესად ლაპარაკია ქემალ ფაშის სომხეთში შესევის შესახებ. ჟურნალს ეეჭვება რომ სახელმწიფურად გამზადებელმა სომხეთმა გარეშე მტრის დაკვრას გაუძლოს. დასასრულ გაზეთი ეხება საქართველოს და ამბობს, რომ საქართველო ყველა ძალას მოიკრებს თავის დასაცავად. საქართველო სახელმწიფოა და მისი კაპიტულაცია ქემალის ან სხვა ვისიმეს წინაშე არას შემთხვევაში არ არის მოსალოდნელიო!!

## ფრონტის დამხმარე კომიტეტში.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის განყოფილებანი ეს ორი სამი დღეა ზედიზედ იკრიბებიან.

დაადგინეს გამართონ საღამოები საზოგადო საკრებულოში 11 და 18 დეკემბერს. ფულების და ნივთების შესაგროვებლები და წიგნაკები უკვე გადაეცა კომიტეტის წევრებს და მოწვეულ დამხმარე პირებს. ქალაქი ამათ შორის დაყოფილი არის უბნებათ და ამ დღეებში ჩამოივლიან აღნიშნული პირები.

* *
*

რკინის გზელებმა ფრონტის კომიტეტს გამოუგზავნეს რვა პატარა პარკუჭით საჩუქრები ჯარისკაცისათვის.

* *
*

სომეხ მანდილოსანთა „ფინჯანი ჩაის“ გამგეობამ აცნობა კომიტეტს, რომ 10 დეკემბრიდან 20-მდე შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი კომიტეტისთვის გადაიდობა.

* *
*

ქართველ ქალთა წრის გამგეობამ აცნობა კომიტეტს, რომ ისინი მოაწყობენ წიგნისაცავ-სამკითხველოს შეოთხე ათასეულში და თავისი ხარჯით გამოუწერენ ამ ათასეულს ხუთ ცალ გაზეთს.

## ხანდისხან.

უმაღლესმა მთავრობამ ბრძანა ყველა დაწესებულებებში საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე ქართულ ენაზე იყოსო. მთავრობის განსაკუთრებულმა კომისარმა ბათომსა და მის ოლქში ბრძანება გასცა რომ მას ყველამ გარდა უცხოეთის მიმოწერისა მიმართოს სახელმწიფო ენაზე.

ამავე დროს განსაკუთრებულ რწმუნებულის სამმართველოში ქაღალდების და მოხსენებების დიდი ნაწილი რუსულად იწერება.

აქ რუსი ქართულად სწერს ხოლო ქართველი რუსულად და მას რუსი მოხელე ქართულად უთარგმნის „ეს კარტული არ ვიცის ბუნებაა, თუ НИКАК НЪТ ოს“.

**ძველი.**

#### სავაჭრო სახლი
## ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74.


კავკასიური
## ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.
კურის ღვინო
## „რ ე კ ო რ დ ი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.
ხილის არაყი („ჭაჭა“)
ახლად დამზადებული ახალიღვინდიან.
სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველამომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიელია.


## რესპუბლიკის სასურსათო მომარაგებისთვის.

(პროექტი)

1. უფლება მიეცეს მთავრობას შესყიდოს მტკიცე ფასებში რესპუბლიკის საზღვრებში სიმინდი სამხედრო სასურსათო ფონდის გასაძლიერებლად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შესყიდ სიმინდის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთელი მოსავლის ხუთმეტ (15) პროცენტს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: სამხედრო სასურსათო ფონდისთვის ხვედრი სიმინდის გაღების შემდეგ ნება მიეცეს ყოველ მოქალაქეს დანარჩენი სიმინდის სრულიად თავისუფლად და თავისუფალ ფასებში გაყიდვისა

2. შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: უმწეონი და ღარიბი ქვრივ-ობოლნი თავისუფალი არიან სიმინდის გაღებისაგან.

3. მტკიცე ფასების, შეფარდებულს ბაზრის ფასებთან, განსაზღვრავს მთავრობა.

4. სიმინდის შესყიდვას მთავრობა აწარმოებს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა შემწეობით.

5. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება და საჭირო საოპერაციო ხარჯების გაწევა ევალება მომარაგების სამინისტროს. დეკრეტის ხისწორით ასრულებისათვის მომარაგების მინისტრის მიერ გამოცემულ იქნეს სათანადო ინსტრუქცია.

6. ამ დეკრეტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ 19-20 წლის სიმინდის მოსავალზე.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

## ნარევი.

ლონდონში საქართველოში ნამყოფმა კაპიტანმა მისტერ კრაინმა იყიდა იშვიათ ჯიშის ძროხა, რომელსაც ოთხი ჯილდო აქვს მიღებული, ძროხაში მისცა მან სამოცდა ათი მილიონი. ჩვენებური ფულით.

სარედაქციო კოლეგია.


## დაიკარგა
მოხელე ჰასანის-ძე მაყაევის პასპორტი მიცემული ყაზი ყუმუხის (დაღესტნის ოლქი) სამილიციო სამმართველოს მიერ.

3—1

## ფიყიდება
ავტომობილის მთელი ზედა ნაწილი,
ე. ი. კუზა
პირობის გაგება შეიძლება კავკავის და თბილისის ქ. კუთხე შემის საწყობი პ. სადრამესან.

საკომისიო მაღაზია
## „ამხ. სოიუზი“
(მიხაილოვის 7 15 ლორის.-მელიქ. ქ. კუთხ.)
ყიდულობს და იღებს საკომისიოდ
ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

## განცხადება.
კავშირის მმარ მელოგა მეეტლეების ქ. ბათომის
აცნობებს ქალ. ბათომის მოქალაქეთ, რომ პირველ ამა დეკემბრიდან კავშირმა აღადგინა ათასი მისი მოქმედება და ყოველგვარ საჩივრებს და მეეტლეებზე იღებს ზემოხსენებულ კავშირში 9—2 საათამდე დღისა და 5—7 საათამდე საღამოისა ახალი სტილით, კავშირის კანცელარიაში, მესამე კომისარიატის რაიონში მისამართი: ოლღას და შერემეტევის ქუჩების კუთხე.

91. (2—1) **გამგეობა.**

## განცხადება
გვაქ პატივი ვაცნობოთ ბათომის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვე
მმ. აბულაძეებმა გავხსენით
## სასადილო
ნორიაში, ასათიანის და შეპელევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება
## იმერული საჭმელები.
და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ხელ-მი საწვდენათ და ზომიერ ფასებში.
საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.
პატივისცემით **ანტონ აბულაძე,**


ელექტრო-მბეჭდავი სტ მბა ს. ე. ხმაევსკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.